ოქმი:**ო37. 3726272001**

თარიღი:**29/09/2026**

ოქმი N 27

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 29 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

12:00 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით კიკვაძე- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი,ნ.გოლიაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.კიკვაძე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსულია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.25.12.090) სააგარაკე-საცხოვრებლის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე**.**

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

2. .„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

4.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით კიკვაძე

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

გადაწყვიტეს:

N1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

N2, N3 საკითხებზე,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მომართვის საფუძველზე შეწყდეს წარმოება და არ იქნას შეტანილი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

N4 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

დავით კიკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

